ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების

2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

თებერვალი

2017

სარჩევი

1. ზოგადი მიმოხილვა 3
2. პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა, თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში 5
3. თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება 18
4. ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები 22
5. ეკონომიკური თანამშრომლობა 29
6. თანამშრომლობის სხვა სფეროები 31
7. ფინანსური დახმარება, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა და კონტროლი 40
8. ინსტიტუციური თანამშრომლობა 41

1. ზოგადი მიმოხილვა

ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ. წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2016 წლის პირველი იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.[1]

ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის №382 განკარგულებით დამტკიცდა.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება 2016 წლის 1 ივლისიდან სრულად შევიდა ძალაში. შესაბამისად, სრულად ამოქმედდა შეთანხმების შემდეგ სფეროებთან დაკავშირებული მუხლები: საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, თანამშრომლობა მიგრაციის, თავშესაფრისა და საზღვრის მართვის სფეროებში, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება, საჯარო ფინანსების მართვა და ფინანსური კონტროლი, ტრანსპორტი, გარემოს დაცვა, კორპორაციული სამართალი, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი და კორპორაციული მმართველობა, განათლება, ჯანდაცვა და ა. შ. **2016 წლის 1 ივლისიდან, ასევე ძალაშია შეთანხმების 2 დარჩენილი დანართი,** რომლებიც ეხება განათლების და ახალგაზრდობის, ასევე, აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში თანამშრომლობას.

2016 წელს, ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ხელშეწყობისა და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის ეფექტიანი კოორდინაციის მიზნით, საქართველოს პრემიერ მინისტრის თავმჯდომარეობით **გაიმართა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის ორი სხდომა.**

2016 წელს, ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, **საჯარო მოხელეებისათვის ჩატარდა 300-ზე მეტი ტრენინგი და სემინარი.** ასევე, გამოცდილების გაზიარების მიზნით, განხორციელდა სასწავლო ვიზიტები ევროკავშირის წევრ და კანდიდატ ქვეყნებში.

2016 წელს, **საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან აპროქსიმაციის მიზნით, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია 3 ახალი კანონი და 8**

[1] წარმოდგენილი ინფორმაციის ნაწილი სცილდება საანგარიშო პერიოდს.

საკანონმდებლო ცვლილება. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა 32 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.

2016 წელს, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით შემუშავდა **საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან დაახლოების სახელმძღვანელო,** როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე. სახელმძღვანელოს პრეზენტაცია უახლოეს პერიოდში განხორციელდება.

ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით **განხორციელებული რეფორმები ევროპული მხარის მიერ დადებითად შეფასდა 2016 წლის 16 ივნისს გამართულ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის და 2016 წლის 2 დეკემბერს გამართულ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს სხდომებზე.**

ევროკავშირის შესაბამის ინსტიტუტებთან და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან წარიმართა აქტიური კონსულტაციები, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის ფარგლებში მიმდინარე განხილვების პროცესში მხარდაჭერის მოპოვებისა და საკანონმდებლო პროცედურების დროულად დასრულების მიზნით.

ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეფექტიანი დაგეგმვისა და შესრულების მონიტორინგის გაუმჯობესების მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური ხელშეწყობით, **პრაქტიკულად დასრულდა მუშაობა ელექტრონული პროგრამისა და შესაბამისი ინტერნეტ პორტალის შექმნაზე.** ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ელექტრონული მონიტორინგის სისტემა ფუნქციონირებს სატესტო რეჟიმში.

საქართველოს მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, რომლებიც ჩართულნი არიან ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მისი შესრულების მონიტორინგის პროცესში.

ევროინტეგრაციის პროცესისა და ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმების თაობაზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სტრატეგიულ კომუნიკაციას სამიზნე ჯგუფებთან და ზოგადად, საქართველოს მოსახლეობასთან.

2. პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა, თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში

2.1 არჩევნები

2016 წლის 10 ივნისს, **საქართველოს პარლამენტმა მიიღო საარჩევნო კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რის შედეგად გაუქმდა გამონაკლისი შემთხვევებისთვის შექმნილი საარჩევნო უბნები**.

2016 წლის შემოდგომაზე გამართულ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე მონიტორინგი განახორციელეს ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (ODIHR), ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეამ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ, ევროპის პარლამენტმა, სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეამ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა. საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებით, არჩევნები გამჭვირვალე, თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში ჩატარდა და ძირითადად დაცული იყო მოქალაქეების უფლებები და თავისუფლებები (ODIHR-ის საბოლოო ანგარიში გამოქვეყნდა 2017 წლის 3 თებერვალს).

2.2 მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა

2016 წლის 29 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში.

2016 წლის თებერვალში, იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, **შემუშავდა მართლმსაჯულების სამოქმედო გეგმა 2016-2020 წლებისთვის**. დოკუმენტში ასახულია სასამართლო რეფორმის სახელმძღვანელო პრინციპები და სტრატეგიული მიმართულებები. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით, **შეიქმნა მართლმსაჯულების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის კომიტეტი**, რომლის მიზანია მართლმსაჯულების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის (სხვადასხვა ინსტანციის მოსამართლეები, მართლმსაჯულების სფეროში ჩართული სახელმწიფო უწყებები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები) ჩართულობის უზრუნველყოფა.

2016 წლის 1 იანვრიდან, **ამოქმედდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“**.

2016 წლის 1 თებერვალს, გამოიცა **იუსტიციის მინისტრის ახალი №120 ბრძანება „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“, რომელიც სრულ შესაბამისობაშია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან.**

2016 წლის 3 ნოემბერს დამტკიცდა სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ დირექტორის **ბრძანება „განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორების საქმიანობის წესისა და სამუშაო დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც ასევე სრულ შესაბამისობაშია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან.**

გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება გაეროს ბავშვთა ფონდსა და სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრს“ შორის, რომლის ფარგლებშიც 2016 წლის ბოლოს თბილისში და რეგიონებში ჩატარდა 4 მულტიგუნდური შეხვედრა/ტრენინგი, აგრეთვე 1 ტრენინგი არასპეციალიზებული პროკურორებისათვის. აღნიშნული პროექტი გაგრძელდება 2017 წელს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის ერთობლივი N132/N95/N23 ბრძანების საფუძველზე, **დამტკიცდა არასრულწლოვანთა საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის ფარგლებში შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი.** ბრძანების საფუძველზე განახლდა არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუმენტი. ასევე, გრძელდება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 29 აპრილის №33 ბრძანებით დამტკიცებული სასჯელის მოხდის ინდივიდუალური მიდგომის იმპლემენტაციის პროცესი სრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ, ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქციის მიხედვით.

პენიტენციურ სისტემაში გრძელდება მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის მიხედვით კლასიფიკაციის ინსტრუმენტის იმპლემენტაციის პროცესი. **2016 წლის განმავლობაში, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ საშიშროების რისკი განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ 3723 მსჯავრდებულს.**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ლიბერალიზაციის, მოსამართლის დისკრეციის გაზრდის, ნათელი და განჭვრეტადი სისხლის სამართლის ნორმების ჩამოყალიბების მიზნით, **განახლდა სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებების პროექტი**, რომელიც საქართველოს მთავრობას უახლოეს პერიოდში წარედგინება.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმირების მიზნით, მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნა სახელმწიფო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების

რეკომენდაციები. აღნიშნული **საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის ივნისში დაამტკიცა.**

საქართველოს საერთო **სასამართლოებში საქმეთა ავტომატური განაწილების ელექტრონული პილოტური პროგრამა 2017 წლის 1 ივლისიდან რუსთავის საქალაქო სასამართლოში ამოქმედდება.** აღნიშნული პროგრამა საერთო სასამართლოების სისტემაში სრულად ამოქმედდება 2017 წლის 31 დეკემბრიდან.

2016 წლის 11 იანვარს, საქართველოს მთავარი პროკურორის გადაწყვეტილებით **საქართველოს პროკურატურაში შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო, რომელიც კოლეგიური წესით განიხილავს პროკურატურის თანამშრომელთა წახალისების, დაწინაურებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს.**

2016 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს მთავარი პროკურორის მიერ **დამტკიცდა საქართველოს პროკურატურის მუშაკთა პროფესიული განვითარების (სწავლების) სტანდარტი.** აგრეთვე, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად, **განახორციელა სასწავლო აქტივობები პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.**

2017 წლის 31 იანვარს, საქართველოს მთავარი პროკურორის მიერ **დამტკიცდა საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს პროკურატურის განვითარების ხელშეწყობას, მისი დამოუკიდებლობის ხარისხისა და საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას.** აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებს შორის გათვალისწინებულია: პროკურორების პროფესიული ეთიკის სტანდარტისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმის დახვეწა, პროკურორების დანიშვნისა და დაწინაურების გამჭვირვალე სისტემის შექმნა, საპროკურორო საქმიანობისა და გამოძიების ხარისხის გაუმჯობესება, პროკურატურის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ შეიმუშავა პროკურორების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები და დაიწყო პროკურორების საქმიანობის შეფასება ამ კრიტერიუმების მიხედვით.

2.3 ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები

ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს განსახილველად წარედგინა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული **საქართველოს კანონის პროექტი „დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შესახებ“.** კანონპროექტთან დაკავშირებით, სამთავრობო უწყებებისა და საერთაშორისო

ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, მიმდინარეობს მუშაობა უწყებათაშორის ფორმატში დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ფუძემდებლურ პრინციპებთან დაკავშირებით პოზიციების შეჯერების მიზნით.

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციასთან (სტამბოლის კონვენცია) ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და მასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შემუშავებულია ცვლილებათა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს სტამბულის კონვენციის მოთხოვნათა იმპლემენტაციას 25-მდე საკანონმდებლო აქტში. საკანონმდებლო ცვლილებები შემუშავებულია, განხილულია სამთავრობო უწყებებსა და არასამთავრობო, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ასევე, საჯარო კონსულტაციები გაიმართა სხვადასხვა რეგიონებში. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი საქართველოს პარლამენტს 2017 წლის 8 თებერვალს წარედგინა.

2016 წლის 22 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები საკანონმდებლო აქტებში, რომლის მიზანია **ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პირადი დოკუმენტების მოწესრიგებისა და სერვისებთან წვდომის უზრუნველყოფა**. აღნიშნული ცვლილებები ძალაში შევიდა 2016 წლის 10 აგვისტოდან. ასევე, 2016 წლის 12 სექტემბერს საქართველოს მთავრობის № 437 დადგენილებით დამტკიცდა ახალი **ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები,** რომელმაც გააფართოვა რეფერირების პროცედურებში ჩართულ უწყებათა/პირთა წრე და დეტალურად განსაზღვრა ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენისა და რეაგირების საშუალებები.

2016 წელს, **საქართველოს სახალხო დამცველის ერთ–ერთ პრიორიტეტს ბავშვის უფლებების დაცვის მონიტორინგი წარმოადგენდა.** არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმების მიზნით, სხვადასხვა **სახელმწიფო ინსტიტუციებსა და პენიტენციურ დაწესებულებებში 21 ვიზიტი განხორციელდა.** მონიტორინგი განხორციელდა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, საჯარო სკოლასა და სკოლა-პანსიონებში. მომზადდა და გამოიცა მინდობით აღზრდის სახელმწიფო ქვეპროგრამისა და რეინტეგრაციის სახელმწიფო ქვეპროგრამის მონიტორინგის შედეგების ამსახველი სპეციალური ანგარიშები. საგანმანათლებლო კამპანიების ფარგლებში სკოლის მოსწავლეებთან გაიმართა შეხვედრები, ბავშვთა განათლების უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის N131 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესი. აღნიშნული წესი ამოქმედდება 2017 წლის 1 აპრილიდან.

2016 წელს პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შემოწმებთვის 115 გეგმიური და არაგეგმიური ვიზიტი განახორციელა. შემოწმების შედეგების შესახებ გამოიცა რამდენიმე სპეციალური, მათ შორის, ფსიქიატრიული დაწესებულებებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანოების მონიტორინგის ანგარიშები და ანგარიში სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. 2016 წელს საქართველოს სახალხო დამცველსა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლება მიეცათ, რაც თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის დანაშაულის პრევენციისათვის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

2016 წლის 6 სექტემბერს ფუნქციონირება დაიწყო **ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების პირველმა კრიზისულმა ცენტრმა.** ცენტრი დამოკიდებულ პირებთან ერთად 14 ბენეფიციარზეა გათვლილი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზეა ადაპტირებული.

2.4 საჯარო სამსახურის რეფორმა და კორუფციასთან ბრძოლა

2016 წელს, **შემუშავდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის გარდამავალი დებულებებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების პროექტები, რომელთა ნაწილი წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის.**

საჯარო სამსახურის სისტემის ერთიანობისა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, დაიგეგმა ყველა საჯარო დაწესებულებაში ინსტიტუციური და ფუნქციური აუდიტის ჩატარება, რაც გულისხმობს საჯარო დაწესებულებების სიღრმისეულ ანალიზს, და შედეგად, ორგანიზაციული მოწყობის შესახებ პრინციპების შემუშავებას. 2016 წლის განმავლობაში, შემუშავდა აღნიშნული პრინციპების დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომლის გათვალისწინებით **განხორციელდა 10 სამინისტროს ვერტიკალური ანალიზი და მომზადდა შესაბამისი ანგარიშები.**

საჯარო სამსახურში კორუფციის რისკების იდენტიფიცირების მექანიზმების დახვეწისათვის ბიურომ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა. კერძოდ, **მომზადდა თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის ინსტრუქციის პროექტი,** რომელიც გაეგზავნა საქართველოს მთავრობას განსახილველად და დასრულდა მუშაობა მონიტორინგის ელექტრონულ პროგრამაზე.

საჯარო მოსამსახურეთათვის საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების მარეგულირებელი კანონმდებლობის გაცნობისა და მამხილებლის ინსტიტუტთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მიზნით, **ჩატარდა ტრენინგები ცენტრალური**

ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებისთვის (სულ - 844 მონაწილე).

საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე სტანდარტის დანერგვის, კერძოდ, სამუშაოს აღწერილობების ფორმებისა და შესრულებული სამუშაოს შეფასების სამართლიანი მექანიზმების შემოღების მიზნით, **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და რწმუნებულ-გუბერნატორის აპარატების წარმომადგენლებისთვის (300 მონაწილე) ჩატარდა სამუშაოს აღწერილობების ტრენინგები.** შეფასების ტრენინგის შემუშავებული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი თითოეული სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლებისათვის.

2016 წლის დასაწყისში, **განახლდა ანტიკორუფციული სტრატეგია და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა.** სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას **დაემატა ახალი, მე-14 პრიორიტეტი** - **„კორუფციის პრევენციის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტებში“**.

2016 წელს საქართველომ გაიარა კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მეოთხე რაუნდის შეფასება. GRECO-ს ანგარიშში შეფასებულია კორუფციის პრევენცია სასამართლოში, პროკურატურასა და პარლამენტში. საქართველომ სულ 16 რეკომენდაცია მიიღო. ამავე წელს **საქართველომ ასევე გაიარა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD-ACN)-ის შეფასების მეოთხე რაუნდი.**

GRECO -ს და OECD-ACN-ის ანგარიშებში ასახული რეკომენდაციათა უმრავლესობა აისახება ახალ ანტიკორუფციულ სტრატეგიასა და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმაში.

2016-2017 წლის ღია მმართველობა-საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა დამტკიცდა მთავრობის №539 დადგენილებით და შედგება 24 ვალდებულებისგან. ეროვნული სამოქმედო გეგმა ემსახურება საჯარო მომსახურების გაუმჯობესებას, სახელმწიფო რესურსების ეფექტურ მართვას, უსაფრთხო გარემოს შექმნას და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდას.

2016 წლის ივნისში, დამტკიცდა „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამის“ განახლებული ვერსია, რომლის ფარგლებშიც, 2016 წელს გადამზადდა სააგენტოს 70-მდე თანამშრომელი.

2016 წლის 25 მაისს, **ხელი მოეწერა „შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და ლიტვის რესპუბლიკის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შორის თანამშრომლობის შესახებ“,** რომელიც ძალაშია 2016 წლის 8 ივლისიდან. იგი მოიცავს

თანამშრომლობას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, მათ შორის კორუფციის პრევენციის საკითხებში.

2.5 თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში

2016 წელს, საქართველო მიუერთდა ევროკავშირის მიერ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში გაკეთებულ 223 განცხადებას, ხოლო არ მიუერთდა 38-ს.

2016 წლის განმავლობაში საქართველო აგრძელებდა **კონსტრუქციულ მონაწილეობას ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში.** გაიმართა **ოთხი რაუნდი,** რომლის დროსაც ქართული მხარე აყენებდა რუსეთის ფედერაციის მიერ **2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრულად შესრულების, ძალის არგამოყენების შესახებ ვალდებულებების აღების, უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხებს.** განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ფაქტობრივი ანექსიის პროცესსა და ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული კუთხით შექმნილ მძიმე მდგომარეობას. კერძოდ: მიმდინარე მილიტარიზაციის პროცესს, საოკუპაციო ხაზზე მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვას, თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვას, ეთნიკურ დისკრიმინაციასა და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვას. განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენდა 2016 წლის 19 მაისს სოფელ ხურჩაში მომხდარი მკვლელობის საკითხი. საქართველომ საქმეში არსებული ყველა მასალა გადასცა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის მონაწილეებს და მოითხოვა ბრალდებული პირის დაუყოვნებლივ დაკავება.

2016 წლის 27 მაისს, **ოთხწლიანი წყვეტის შემდეგ,** ქართული მხარისა და თანათავმჯდომარეების ძალისხმევით **აღდგა გალის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფორმატი (იპრმ),** რომელიც შეუფერხებლად მიმდინარეობს. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევის, მათ შორის, უკანონო დაკავებების, გადაადგილების თავისუფლების, საკუთრების ხელყოფის და სხვა საკითხები ქართული მხარის მიერ რეგულარულად განიხილებოდა გალისა და ერგნეთის იპრმ-ების ფარგლებში. 2016 წელს, გაიმართა **ერგნეთის იპრმ-ის თერთმეტი და გალის იპრმ-ის ექვსი შეხვედრა.**

2016 წელს გაგრძელდა აქტიური მუშაობა **ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ოკუპირებულ რეგიონებში შესვლის** უზრუნველსაყოფად საერთაშორისო ძალისხმევის კონსოლიდაციის მიზნით. გრძელდებოდა კონსულტაციები ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებთან მისიის შემდგომი გაძლიერებისა და მისი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის საკითხზე. 2016 წლის დეკემბერში ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება **EUMM-ის მანდატის 2018 წლის ბოლომდე გაგრძელების** შესახებ.

2016 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე უკანონო პროცესებსა და რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევებზე საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირების მიზნით. ქართული მხარე ყველა საერთაშორისო ფორმატში აყენებდა ფაქტობრივი ანექსიისა და ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების მძიმე მდგომარეობის საკითხს. მუდმივად ესმებოდა ხაზი **ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო მონიტორინგისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების შექმნის** აუცილებლობას.

2016 წლის 7 ივნისს, გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ 70-ე სესიაზე კიდევ ერთხელ მიიღო **რეზოლუცია „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ".** რეზოლუციის მხარდამჭერ სახელმწიფოთა რაოდენობა გაიზარდა 76-მდე, მოწინააღმდეგეთა რაოდენობა შემცირდა 15-მდე, ასევე შემცირდა თავშეკავებულთა რაოდენობა 64-მდე.

2016 წლის ივნისში და სექტემბერში, გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს 32-ე და 33-ე სესიების ფარგლებში საქართველოს დელეგაციამ, გაერო-ს 42 და 46 სახელმწიფოს სახელით გააკეთა ერთობლივი განცხადებები, საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული მდგომარეობის თაობაზე.

2016 წლის 6 დეკემბერს გაიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს დახურული კონსულტაციები, რომლის ფარგლებში სხვადასხვა საკითხების განხილვისას უკრაინის დელეგაციამ წამოჭრა საკითხი რუსეთის ფედერაციის მხრიდან სოხუმის საოკუპაციო რეჟიმთან შეიარაღებული ძალების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნასთან დაკავშირებით დადებული ე.წ. შეთანხმების რატიფიკაციის თაობაზე, დაგმო რუსეთის ქმედებები და შეაფასა, როგორც საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ფაქტობრივი ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯი. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი განცხადებები, ასევე, გაკეთდა სხვა პარტნიორი სახელმწიფოების მიერ. გაეროს უშიშროების საბჭოს 15 წევრიდან არცერთ წევრ სახელმწიფოს, რუსეთის ფედერაციის გარდა, არ გამოუხატავს საწინააღმდეგო პოზიცია.

2016 წლის 27 აპრილს და 2016 წლის 16 ნოემბერს, ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის 1254-ე და 1271-ე სხდომებზე განხილულ იქნა **ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ტორბიორნ იაგლანდის მე-13 და მე-14 კონსოლიდირებული ანგარიში - "კონფლიქტი საქართველოში".**

2016 წლის 4 მაისს, ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის 1255-ე სხდომის ფარგლებში, აბსოლუტური უმრავლესობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საკითხზე **„ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში“,** რომლის შესაბამისად, რუსეთის ფედერაციას დაეკისრა პასუხისმგებლობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის, მათ შორის, ქართულ ენაზე განათლების მიღების უფლებისა და

ადმინისტრაციულ საზღვარზე გადაადგილების თავისუფლების კუთხით არსებულ მდგომარეობაზე.

2016 წლის 10 მარტს, საქართველოს მთავრობის შერიგებისა და ნდობის აღდგენის პოლიტიკის ფარგლებში, ეფექტიანი კომუნიკაციის შედეგად, ენგურის ხიდზე მოხდა ქართველი და ოსი პატიმრების გაცვლა. კერძოდ, გათავისუფლდა წლების განმავლობაში უკანონო პატიმრობაში მყოფი საქართველოს 14 მოქალაქე, ხოლო ცხინვალს გადაეცა საქართველოს კანონმდებლობით გასამართლებული 4 ეთნიკურად ოსი პატიმარი.

საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევით და საერთაშორისო ორგანიზაციების უშუალო ჩართულობით (UNDP, UNHCR), 2016 წელს განხორციელდა ენგურის ხიდის რეაბილიტაცია, ასევე, რვაწლიანი პაუზის შემდეგ, ენგურის ხიდზე ამოქმედდა სამგზავრო ავტობუსი.

2016 წლის 2 დეკემბერს, ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მორიგი სხდომა, რომლის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო საქართველოში არსებული კონფლიქტის მოგვარება. საბჭოს ფარგლებში განიხილეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული მდგომარეობის მძიმე პირობები და საქართველოში არსებული კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების კუთხით მოქმედი ინსტრუმენტების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობები.

2016 წლის 13 სექტემბერს ადამიანის უფლებათა საბჭოს სიტყვით მიმართა გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება გაამახვილა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში არსებულ მდგომარეობაზე და ისაუბრა პრობლემაზე, რომელსაც მისი ოფისის თანამშრომლები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში შესვლასთან და ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შეფასებასთან დაკავშირებით აწყდებიან.

2016 წლის 1-5 ივლისს ქ.თბილისში გაიმართა **ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის** 25-ე ყოველწლიური სესია, რომლის ფარგლებში სხვადასხვა თემატურ დოკუმენტებთან ერთად მიღებულ იქნა **რეზოლუცია - „კონფლიქტი საქართველოში“**. რეზოლუციაში აღნიშნულია რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისთვის ძალისხმევის გაძლიერების აუცილებლობაზე და დაფიქსირებულია ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მნიშვნელობა. რეზოლუციაში აგრეთვე აღნიშნულია საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის და ჰუმანიტარული კუთხით არსებული მძიმე ვითარება. აღნიშნული დოკუმენტით ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეასრულოს მის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები, გააუქმოს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება, შეწყვიტოს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და უზრუნველყოს იძულებით ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა თავიანთ საცხოვრებელ სახლებში მშვიდობიანი და ღირსეული დაბრუნება. აგრეთვე, აიღოს ძალის არგამოყენების შესახებ ვალდებულება,

საქართველოს მიერ უკვე ნაკისრი ვალდებულების საპასუხოდ და დაუშვას ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმები ოკუპირებულ რეგიონებში.

2016 წლის 19-30 სექტემბერს, ქ. ვარშავაში გაიმართა ადამიანის უფლებათა დაცვის განზომილებაში ეუთო-ს მონაწილე ქვეყნების ვალდებულებათა შესრულების შემფასებელი ყოველწლიური შეხვედრა. საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადებები თემატური სესიების ფარგლებში, მათ შორის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული კუთხით არსებულ მდგომარეობაზე.

2016 წლის 8-9 დეკემბერს, **ეუთო-ს მინისტრთა საბჭოს 23-ე შეხვედრის ფარგლებში, 2008 წლის შემდეგ, პირველად, ეუთო-ს ფარგლებში საქართველოს მეგობართა ჯგუფის (აშშ, კანადა, ლიტვა, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი, შვედეთი და რუმინეთი) მიერ გაკეთდა განცხადება კონფლიქტის თემაზე, რომელიც შევიდა მინისტერიალის დოკუმენტთა პაკეტში.** დოკუმენტში, მეგობარი ქვეყნები სრულ მხარდაჭერას უცხადებენ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. განცხადებაში ხაზგასმულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული რთული ჰუმანიტარული ვითარება, განსაკუთრებით გამოყოფილია ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის დისკრიმინაცია. განცხადებაში ასევე აღნიშნულია პროგრესის საჭიროება ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მთავარ თემებზე, კერძოდ, ძალის არგამოყენების ვალდებულების აღება, უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების ჩამოყალიბება და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნება. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მეგობარი ქვეყნები მოუწოდებენ რუსეთს უკან გაიწვიოს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და გაიყვანოს ჯარები ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

2016 წლის 31 მარტს-1 აპრილს, ქართულმა მხარემ მონაწილეობა მიიღო ქ. ვაშინგტონში გამართულ **ბირთვული უსაფრთხოების სამიტში. ამასთან, პარალელურად მიმდინარე ბირთვული ინდუსტრიის სამიტის ფარგლებში,** ბირთვული უსაფრთხოების სფეროში შეტანილი წვლილისთვის, **საქართველოს გადაეცა ჯილდო - „ატომები მშვიდობისთვის“**. კერძოდ, მაღალგამდიდრებული ურანის რეპატრიაციით, საქართველომ შეასრულა 2014 წლის ბირთვული უსაფრთხოების სამიტის კომუნიკეთი გათვალისწინებული ვალდებულება, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოების მიერ მაღალგამდიდრებული ურანის მარაგების შემცირებას. შედეგად, საქართველომ მოიპოვა ბირთვული მასალებისგან თავისუფალი ქვეყნის სტატუსი.

საქართველო გახდა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საწინააღმდეგო შვიდეულის გლობალური პარტნიორობის (G7 Global Partnership Against the Spread of Weapons and Materials of Mass Destruction) წევრი. 2016 წლის 7-9 სექტემბერს, იაპონიაში გამართულ

გლობალური პარტნიორობის სამიტზე საქართველომ პირველად მიიღო მონაწილეობა წევრის სტატუსით.

2016 წლის 30 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით, საქართველოში ჩატარდა **ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (CBRN) მეცნიერებისა და შედეგების მართვის მსოფლიო კონგრესი** (CBRN Applied Science and Consequences Management World Congress – CSCM 2016-Tbilisi), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს 30 ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის მაღალი რანგის ოფიციალურმა პირებმა, ქბრბ სფეროს ექსპერტებმა და მეცნიერებმა.

2016 წლის 9-10 ივნისს, ქ. თბილისში გაიმართა **ქართულ-ამერიკული ორმხრივი დიალოგი** ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. შეხვედრაზე განხილულ იქნა აღნიშნული მიმართულებით საქართველოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები. ამერიკულმა მხარემ დადებითად შეაფასა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების კუთხით საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები.

2016 წლის 5-6 ოქტომბერს, ქ. თბილისში გაიმართა მეორე საერთაშორისო ფორუმი რეგიონული სტაბილურობისთვის - „**ბირთვული და რადიაციული გამოწვევები შავი ზღვის რეგიონში: მიზეზები, შედეგები და საპასუხო ზომები“.** შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირებმა, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა. ღონისძიება გაიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სხვა შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია - თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში სამოქალაქო საბჭოს ორგანიზებითა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის, შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოსა და გაერთიანებული სამეფოს ენერგეტიკისა და კლიმატის დეპარტამენტის მხარდაჭერით.

საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 28 მაისის N3608-IIს დადგენილების საფუძველზე, **მალის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწრთვნელ მისიაში (EUTM MALI)** 2016 წლის 5 იანვრიდან, 6 თვიანი როტაციის წესით მონაწილეობს საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთი ოფიცერი, რომლის მესამე როტაციაც განხორციელდა 2016 წლის ნოემბერში.

2016 წლის ივლისში, **საქართველომ წარმატებით დაასრულა მონაწილეობა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის სამხედრო მრჩეველთა მისიაში (EUMAM RCA),** რომელშიც საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 28 მაისის N3608-IIს დადგენილების საფუძველზე 5 სამხედრო მოსამსახურით (6 თვიანი როტაციის წესით, როტაცია განხორციელდა 2016 წლის აპრილში) 2015 წლის ოქტომბრიდან მონაწილეობდა.

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 22 ივნისის №5482-IIს დადგენილების საფუძველზე, **2017 წლის თებერვლის დასაწყისში, საქართველო ქვეითი ოცეულის ზომის ქვედანაყოფით (35**

ს/მ) ჩაერთო ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის ახალ საწვრთნელ მისიაში (EUTM RCA). მონაწილეობა განხორციელდება 6 თვიანი როტაციის წესით, მისიის მანდატის ამოწურვამდე (2018 წლის სექტემბერი).

ევროკავშირმა დაამტკიცა საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკისთვის **ერთობლივი პროექტი „ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) სფეროში უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და კომუნიკაციის მექანიზმების კონსოლიდაციის შესახებ“.**

2016 წლის ოქტომბერში, **განახლდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში არსებული სამუშაო გეგმა.**

2016 წლის 23 ივნისს, **ხელი მოეწერა შეთანხმებას „საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის უსაფრთხოების პროცედურების შესახებ“,** რომელიც მხარეთა მიერ შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შემდგომ ძალაში შევიდა 2017 წლის 1 თებერვალს.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური გახდა **ევროპის საბჭოს ტერორიზმთან ბრძოლის ექსპერტთა კომიტეტის (CODEXTER) წევრი** და აქტიურად მონაწილეობს კომიტეტის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში, მათ შორის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ევროპის საბჭოს დოკუმენტების შემუშავების პროცესში.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ასევე აქტიურადაა ჩართული ეუთო-ს ეგიდით ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში დაგეგმილ აქტივობებში.

2015 წლიდან ხორციელდება ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩო (PCF) პროგრამა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“. პროექტის მიზანს წარმოადგენს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების თავიდან აცილებისა და აღკვეთის სფეროში შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა.

2016 წელს, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა **ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სფეროში** ურთიერთთანამშრომლობის და ინფორმაციის გაცვლის თაობაზე ორმხრივი შეთანხმებები გააფორმა მონტენეგროსა და მონაკოს ფინანსური დაზვერვის სამსახურებთან.

2016 წლის აგვისტოში ხელი მოეწერა **„შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და ბელარუსის რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს შორის თანამშრომლობის შესახებ“.** შეთანხმება მიზნად ისახავს მხარეებს შორის

მჭიდრო თანამშრომლობის განვითარებას ტერორიზმის, კორუფციისა და სხვა, სახელმწიფო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საკითხებზე.

2016 წლის 2 აგვისტოს ხელი მოეწერა **„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შორის თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს“.** მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს მხარეს შორის თანამშრომლობის გაღრმავება ტერორიზმის, მასობრივი განადგურების იარაღის, და სხვა, მათ შორის ტრანსნაციონალური და საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში.

2016 წლის აგვისტოში აშშ-ის მხარდაჭერით ჩატარდა ერთობლივი წვრთნა “Jackal Stone 2016”, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოსა და აშშ-ის სამხედრო, სამოქალაქო და სახელმწიფო უწყებების 700-მდე წარმომადგენელმა. წვრთნების მიზანს წარმოადგენდა აშშ-საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის განმტკიცება და საქართველოს შესაბამისი უწყებების შესაძლებლობების ზრდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.

2016 წელს, ქართულმა მხარემ მონაწილეობა მიიღო "აღმოსავლეთ პარტნიორობის" საგარეო საქმეთა მინისტერიალში, გარემოსა და კლიმატის ცვლილებების საკითხებზე პირველ ფორმალურ მინისტერიალში, მაღალი რანგის ოფიციალური პირების 2 შეხვედრაში, ასევე, თემატური პლატფორმების 7 შეხვედრაში და 15-ზე მეტი პანელის შეხვედრასა და სემინარში. ამასთან, ქ. თბილისში ჩატარდა აღმოსავლეთ პარტნიორობის კონფერენცია „კულტურა და შემოქმედება ინოვაციისა და განვითარებისთვის“.

3. თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება

წარმატებით სრულდება **„საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“** და **„საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივების შესახებ“** შეთანხმებები.

2016 წელს, სულ განხილულ იქნა რეადმისიის თაობაზე 1628 პირზე განაცხადი. დადებითად დასრულდა 1600, ხოლო 28 პირის განაცხადზე გამოტანილი იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება (1,7%). 2016 წელს, გაძევების გადაწყვეტილების ფარგლებში, საქართველო დატოვა კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფმა 73 პირმა.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის **რეადმისიის შესახებ ხელშეკრულების საიმპლემენტაციო ოქმების** პროექტები გადაეცა ფინეთის, ირლანდიის, ლატვიის, მალტის, რუმინეთისა და სლოვენიის მხარეს.

2016 წლის 4 აპრილს, **ხელი მოეწერა ევროკავშირსა და საქართველოს შორის რეადმისიის შესახებ ხელშეკრულების საიმპლემენტაციო ოქმს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 8 ივლისს.** 2016 წლის 18 ივნისს, **ასევე ამოქმედდა „საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის რეადმისიის შესახებ“ შეთანხმება და „საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის რეადმისიის შესახებ“ შეთანხმების შესრულების წესის შესახებ“ საიმპლემენტაციო ოქმი.** 2016 წლის 1 აგვისტოს, **ძალაში შევიდა „საქართველოს მთავრობასა და დანიის სამეფოს მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმება.**

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ ხელშეკრულების ეფექტიანად იმპლემენტაციის მიზნით, გრძელდება მუშაობა ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესაბამისი სამსახურების რეადმისიის მართვის უნიფიცირებულ ელექტრონულ პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში რეადმისიის ელექტრონულ პროგრამაში ჩაერთო ევროკავშირის წევრი - 3 ქვეყანა (ჩეხეთი, ფინეთი, სლოვენია).

პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა: ესტონეთის რესპუბლიკასთან, კვიპროსის რესპუბლიკასთან, პორტუგალიასთან, შვედეთის სამეფოს, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოსა და დანიის სამეფოსთან.

მნიშვნელოვნად დაიხვეწა თავშესაფრის საკითხებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩო. 2016 წლის 1 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ამოქმედდა 2017 წლის 1 თებერვლიდან. განხორციელდა ინსტიტუციური ცვლილებები თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. თავშესაფრის მაძიებლები და საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირები სარგებლობენ სოციალური დახმარებით, ჯანდაცვის მომსახურებითა და განათლებაზე ხელმისაწვდომობით, აქვთ წვდომა უფასო იურიდიულ დახმარებაზე მათ სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებზე. **ფუნქციონირებს თავშესაფრის მაძიებლების, ლტოლვილისა ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა მონაცემთა ელექტრონული ბაზა**, რომელიც ასევე მოიცავს წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციას.

„საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ 2016 წლის სახელმწიფო პროგრამითა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) „მობილურობის ცენტრების“ მომსახურებით ისარგებლა 463-მა დაბრუნებულმა მიგრანტმა.

2016 წლის 13 თებერვალს, ძალაში შევიდა **სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტების მფლობელთათვის ვიზის მიღებისგან გათავისუფლების შესახებ სერბეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული შეთანხმება**. 2016 წლის 23 მაისს, ძალაში შევიდა **დიპლომატიური და სამსახურებრივი/ოფიციალური პასპორტების მფლობელთათვის უვიზო მიმოსვლით სარგებლობის შესახებ ქუვეითის მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულება**.

საჯარო დაწესებულებათა ნაწილის მიერ **დამტკიცებულია შიდა რეგულაციები პერსონალურ მონაცემთა დაცვის** შესახებ. მნიშვნელოვნად გაიზარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის შესაძლებლობები საკადრო უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

2016 წელს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა განიხილა 216 მოქალაქის განცხადება. მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინიციატივით, განხორციელდა 87 ინსპექტირება, გამოვლინდა 195 სამართალდარღვევა. **საანგარიშო პერიოდში გაწეული კონსულტაციების რაოდენობა შეადგენს 3840-ს. შემუშავდა ჯანდაცვის სექტორში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ და სკოლებში მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ რეკომენდაციები.** საანგარიშო პერიოდში განხორციელდა აქტივობები პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

2016 წლის **1 თებერვალს** ძალაში შევიდა **„საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება. 2016 წლის 3 თებერვალს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობასა და სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება.** ამასთან, 2016 წელს, ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და **რაინლანდ-პფალცის** შინაგან საქმეთა, სპორტისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის, ასევე საქართველოს

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და **ბადენ–ვიურტემბერგის ფედერალური მიწის** შინაგან საქმეთა, გაციფროვნებისა და მიგრაციის სამინისტროს შორის.

2016 წელს ხელი მოეწერა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ ერთობლივ განცხადებებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და **საქსონიის ფედერალური მიწის** შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და **ჰესენის ფედერალური მიწის** შინაგან საქმეთა და სპორტის სამინისტროს შორის.

2016 წელს ხელი მოეწერა და ძალაში შევიდა **დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ** შეთანხმება ყირგიზეთის რესპუბლიკასთან. აგრეთვე ხელი მოეწერა და ძალაში შევიდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და **სომხეთის რესპუბლიკის პოლიციას შორის თანამშრომლობის გაძლიერების** შესახებ განცხადება.

2016 წელს, საქართველოს პოლიციის ატაშეები წარიგზავნენ **იტალიაში, შვედეთსა და ავსტრიაში.** ამჯამად, შინაგან საქმეთა სამინისტროს **13 პოლიციის ატაშე** ყავს წარგზავნილი (საბერძნეთი, პოლონეთი, საფრანგეთი, თურქეთი, ბელარუსი, აზერბაიჯანი, სომხეთი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკა, ესპანეთის სამეფო და უკრაინა).

2016 წლის იანვრიდან, აქტიურად მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები ტრეფიკინგის ფაქტების პროაქტიულად გამოვლენის მიზნით. საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლები ინტენსიურად იყენებენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის სტანდარტულ ოპერატიულ პროცედურებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს.

2016 წლის ივნისში, **გამოქვეყნდა ევროპის საბჭოს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) მეორე შეფასების ანგარიში, რომლითაც დადებითად შეფასდა საქართველოს მიერ ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები.**

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ტრეფიკინგთან ბრძოლის 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, აშშ-ს სარეიტინგო შკალაში საქართველომ მოწინავე პოზიცია დაიკავა ე.წ. **„პირველ კალათაში“.** შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული ტრეფიკინგთან ბრძოლის პოლიტიკა აკმაყოფილებს ამ ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მინიმალურ სტანდარტებს და შესაბამისობაშია საერთაშორისო მოთხოვნებთან.

2016 წლის 15 დეკემბერს უწყებათაშორისი საბჭოს მიერ დამტკიცდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც აგებულია 4 ძირითად მიმართულებაზე: დანაშაულის პრევენცია, მსხვერპლთა დაცვა, სისხლისსამართლებრივი დევნა და თანამშრომლობა.

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის **უწყებათაშორისი საბჭოს სამდივნომ დაასრულა მუშაობა ნარკომანიასთან ბრძოლის 2014-15 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშზე** და 2016 წლის 20 დეკემბერს საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა **ნარკომანიასთან ბრძოლის 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა.**

2016 წლის 14 დეკემბერს, ევროპის პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე დაამტკიცა EUROPOL-სა და საქართველოს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების პროექტი. 2017 წლის იანვარში, ევროკავშირის საბჭომ და მინისტრთა საბჭომ მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები. შეთანხმებას ხელი უახლოეს მომავალში მოეწერება.

წარმატებით მიმდინარეობს საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის განხორციელება. ფუნქციონირებს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის **მონიტორინგისა და ანგარიშგების ინოვაციური ელექტრონული სისტემა**. დამტკიცდა მიგრაციის **სტრატეგიის შეფასების ინდიკატორები,** რომლის საფუძველზეც მოხდება **სტრატეგიის შესრულების შეფასება.** მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს მიერ მომზადდა **სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევი,** როგორც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამის სამუშაო ჯგუფს შეიმუშავოს მიგრაციის შემდეგი სტრატეგია.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელდა **მიგრაციის მონაცემთა ანალიტიკური სისტემისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნიკური ინფრასტრუქტურის ინსტალაცია**. პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციებთან (IOM და ICMPD) თანამშრომლობით და ევროკავშირის დახმარებით **დაკომპლექტდა მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის გუნდი**, ჩატარდა სხვადასხვა ტიპის ტრენინგები და სამუშაო ჯგუფის შეხვედრები სისტემის დროულად ამოქმედების ხელშესაწყობად. 2016 წლის 8 ნოემბერს გაიმართა ანალიტიკური სისტემის სატესტო რეჟიმში მუშაობის პრეზენტაცია.

4. ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები

2016 წლის განმავლობაში გაიმართა DCFTA-ის განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი **DCFTA-ის საკონსულტაციო ჯგუფის 3 შეხვედრა**, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული და განხორციელებული ღონისძიებები.

2016 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებზე თემატური შეხვედრები ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. მათ შორის, აღსანიშნავია ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების ხელშემწყობი პროექტის დახმარებით წინანდალში გამართული მრგვალი მაგიდა კერძო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელიც ეხებოდა DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების იმპლემენტაციის თემას. შეხვედრაზე აქცენტი გაკეთდა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საკითხებზე.

2016 წელს გაიმართა DCFTA-ის განხორციელების უწყებათაშორისი ქვეკომისიის ორი სხდომა. სხდომებზე განხილულ იქნა DCFTA-ის 2016 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული რეფორმებისა და ღონისძიებების განხორციელების პროგრესი და ასევე, DCFTA-ს განხორციელების 2017 წლის სამოქმედო გეგმის ძრითადი ასპექტები. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, გერმანიის საერთაშორისო დახმარების საზოგადოებასთან (GIZ) თანამშრომლობით **შექმნა და სატესტო რეჟიმში გაუშვა DCFTA-ის ვებპორტალი - www.dcfta.gov.ge,** რომელიც მოიცავს DCFTA-სთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას, მათ შორის საერთაშორისო მხარდაჭერის, ბიზნესისათვის DCFTA-ის მიერ შექმნილი შესაძლებლობების, შეთანხმების განხორციელების კოორდინაციის და სხვა სიახლეების შესახებ ინფორმაციას. პორტალზე ასევე მოცემული იქნება ინფორმაცია DCFTA-ს ფარგლებში დაახლოებული კანონმდებლობის შესახე. პორტალზე ასევე, ინტეგრირებულია სპეციალური ფუნქცია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია DCFTA-ს ფარგლებში შემუშავებულ კანონის ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტზე კომენტარების გაკეთება.

2016 წლის მდგომარეობით, მეწარმეობის განვითარების სააგენტომ, **სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“** ფარგლებში, განახორციელა დამატებით 70 საწარმოს ხელშეწყობა, რამაც, დამატებით 2 364 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა განაპირობა. აღნიშნული 70 ახალი პროექტის სესხების ჯამური მოცულობა - ₾72,4 მილიონია, ხოლო ჯამური ინვესტიცია - ₾129,6 მილიონი.

2016 წლის იანვრიდან ფუნქციონირება დაიწყო **ვებ-გვერდმა, www.een-georgia.ge და Facebook-ის გვერდმა „Enterpirse Europe Network Georgia“**. ვებ-გვერდების გაშვების შემდეგ უკვე 85-ზე მეტმა ქართულმა კომპანიამ მიიღო ინფორმაცია მომავალში შესაძლო ბიზნეს პარტნიორების შესახებ და მიიღო სხვადასხვა ბიზნეს შემოთავაზება. 2016 წლის მონაცემებით, EEN-ის საიტზე დასრულებულია ერთი ქართული კომპანიის რეგისტრაცია და მიმდინარეობს რამდენიმე კომპანიის რეგისტრაციის პროცესი.

2016 წელს, აქტიურად ხორციელდებოდა სააგენტოს ბენეფიციარი მეწარმეებისა და ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების წარმომადგენლების **ცნობიერების ამაღლება DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებზე.** DCFTA-ით გათვალისწინებული მოთხოვნების/ვალდებულებებისა და დაგეგმილი ღონისძიებების, ასევე ევროკავშირში ექსპორტის შესაძლებლობების შესახებ კონსულტაცია გაეწია **220-ზე მეტ ბენეფიციარს.**

2016 წლის იანვრიდან, **ვებ-გვერდმა** www.tradewithgeorgia.com დაიწყო სრულყოფილად ფუნქციონირება. ვებ-პორტალი შემუშავდა ქართული კომპანიებისა და მათი პროდუქტების, საქართველოს სავაჭრო პარტნიორების, საბაჟო გადასახადებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. **ამჟამად 220-ზე მეტმა ქართულმა კომპანიამ** უკვე დაარეგისტრირა საკუთარი პროდუქტი და მომსახურება, რომელიც განკუთვნილია ექსპორტისთვის.

ვებ-პორტალის პარალელურად, მიმდინარეობს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში **სავაჭრო გამოფენებში ქართველი ექსპორტიორების მონაწილეობის ხელშეწყობა,** ქართული პროდუქციის პოპულარიზაცია და ახალი ბიზნეს-კონტაქტების დამყარება ბაზრის დივერსიფიკაციის მიზნით.

სტანდარტების და მეტროლოგიის სააგენტოში **დასრულდა ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის (CIB) პირველი ეტაპი,** რომლის ფარგლებშიც მოხდა საგრანტოს კონტრაქტით გათვალისწინებული შენობის, მათ შორის ლაბორატორიული ფართების და დამხმარე საინჟინრო ინფრასტრუქტურის რენოვაცია. CIB პროგრამის II ეტაპის ფარგლებში, 2016 წელს დასრულდა ევროპული მხარის მიერ აღჭურვლობის შეძენისა და მოწოდების პროცესი, 12 თვის მდგომარეობით უკვე მიღებულია აღჭურვილობა შემდეგი ლაბორატორიებისათვის - რადიაციული მეტროლოგია, მცირე მოცულობები, ძალა, წნევა, აკუსტიკური გაზომვები, ტემპერატურა, ელექტრობა, ტენიანობა, რადიო-ფიზიკური გაზომვები, დრო და სიხშირე, გეომეტრიული გაზომვები, ოპტიკა, მასა, განსაკურთრებით დიდი მასები - საწონები და სასწორები, ასევე ე.წ. მობილური ლაბორატორია სპეციალურად მოწყობილი სატვირთო ავტომანქანა, რაც საშუალებას იძლევა ლაბორატორიაში დაკალიბრდეს დიდი წონის საწონები, ხოლო სასწორის განთავსების ადგილზე მაღალი წონადობის სასწორები. ასევე, სააგენტოს მიერ CIB პროექტის თანადაფინანსების უზრუნველსაყოფად შეძენილ იქნა აღჭურვილობა ეტალონური გეომეტრიული გაზომვების, ვიბრაციის, რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის განყოფილებისა და ფიზ-ქიმიური გაზომვების

ეტალონური განყოფილებისათვის. პროექტის შესაბამისად ლაბორატორიების აღჭურვილობის შეძენის პროცესი გაგრძელდება 2017 წელსაც.

2016 წელს საქართველოს სტანდარტად სულ მიღებული იქნა 2196 სტანდარტი, მათ შორის: 656 საერთაშორისო (ISO, IEC) და 1540 ევროპული (EN) სტანდარტი. 2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს სტანდარტად სულ მიღებულია 10 000 მდე საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების პროექტის ექსპერტების რეკომენდაციებისა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სამრეწველო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის სტრატეგიის შესაბამისად მომზადდა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის ცვლილებების პროექტი, რომელის მიზანია საქართველოში სამრეწველო პროდუქტებზე ბაზრის ზედამხედველობის სისტემის ჩამოყალიბება საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შესაბამისად.

მომზადდა და საქართველო მთავრობის დადგენილებით (N641, 30.12.2016) დამტკიცდა **სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის მრავალწლიანი სამოქმედო გეგმა**. აღნიშნული სამოქმედო გეგმა მოიცავს 2017-2022 წლებში ბაზარზე ზედამხედველობის კუთხით განსახორციელებელ აუცილებელ ღონისძიებებს.

აკრედიტაციის ცენტრმა **სრულად განახორციელა აკრედიტაციის საერთაშორისო სტანდარტების** (სსტ ისო/იეკ 17025; სსტ ისო/იეკ 17020, სსტ ისო/იეკ 17065; სსტ ისო/იეკ 17021; სსტ ისო 15189; სსტ ისო/იეკ 17024) იმპლემენტაცია აკრედიტაციის საქმიანობაში, EA (აკრედიტაციის ევროპული თანამშრომლობა) მოთხოვნების შესაბამისად. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების შეფასება საერთაშორისო სტანდარტების თანახმად.

2016 წლის ნოემბერში EA-ს (European Accreditation) შემფასებლებმა დადებითად შეაფასეს აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობა და 2017 წელს იგეგმება EA-სთან ორმხრივი აღიარების შეთანხმების გაფორმება, რაც ნიშნავს, საქართველოში აკრედიტებული ორგანიზაციების, მიერ გაცემული შესაბამისობის შეფასების დოკუმენტების (სერტიფიკატები და ლაბორატორიული გამოცდის ოქმები) საერთაშორისო აღიარებას, რაც შეამცირებს ქართული პროდუქციისათვის ტექნიკურ ბარიერებს საერთაშორისო ბაზრებზე.

სანიტარულ და ფიტოსანიტარიულ სფეროში საკანონმდებლო დაახლოების ნუსხის შესაბამისად განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება 25 ევროპულ რეგულაციასთან.

გაფორმდა მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ სსიპ - სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტს“ (REAP) შორის. მემორანდუმის მიზანია, REAP-ისა და სააგენტოს ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდეს სურსათის უვნებლობის მართვისა და სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება ცხოველთა სასაკლაოებისათვის, რაც უზრუნველყოფს ევროპული სტანდარტების დანერგვას და გააძლიერებს მათ პოტენციალს უსაფრთხოების კუთხით.

2016 წლის 28 ნოემბერს ევროკომისიამ შეიტანა ცვლილება 2011/163 გადაწყვეტილებაში და საქართველო დაემატა იმ **მესამე ქვეყნების ჩამონათვალს, საიდანაც შესაძლებელია თაფლის იმპორტი ევროკავშირში.** ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამუშაოები, რის შემდგომაც **შესაძლებელი გახდება შავი ზღვის თევზის (ქაფშია) იმპორტი ევროკავშირში.**

CIB პროგრამის მხარდაჭერით შეძენილ იქნა **სანიტარული ფიტო-სანიტარული და ვეტერინარული კონტროლის აღჭურვილობა კარწახის, ადლიისა და ფოთის სასაზღვრო საინსპექციო პუნქტებისათვის.** ევროპელი ექსპერტების დახმარებით განხორციელდა „წითელი ხიდის“ სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის დათვალიერება ინფრასტრუქტურული საჭიროებების შეფასების მიზნით. შემოსავლების სამსახურის მიერ დამუშავებილი სამშენებლო პროექტის შესაბამისად, ხორციელდება სამშენებლო სამუშაოები.

მომზადდა საბაჟო კოდექსის პროექტი, რომელიც კომენტარებისათვის მიეწოდა ევროკომისიას, წარმოდგენილი შენიშვნების საფუძველზე მოხდა პროექტის შემდგომი დამუშავება. უახლოეს პერიოდში კოდექსის პროექტი მიეწოდება შესაბამის სახელმწიფო უწყებებს შენიშვნებისათვის, რის შემდგომაც პროექტი მიეწოდება საქართველოს პარლამენტს. მიმდინარეობს მუშაობა **„ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ (CTC)” და „საქონლით ვაჭრობაში ფორმალობების გამარტივების შესახებ (SAD)” კონვენციებთან** მიერთებისათვის. ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა შესაბამისი გზამკვლევი და მიმდინარეობს საქართველოს კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების შემუშავება. ასევე, შემოსავლების სამსახურისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) პროექტის ერთობლივი სამუშაო ჯგუფი ამუშავებს **ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის** კანონმდებლობის პროექტს. შემუშავებულია ცვლილებების პროექტის პირველადი ვერსია. დაიწყო მუშაობა **საჰაერო მგზავრებზე წინასწარი ინფორმაციის/ მგზავრების პირადი მონაცემების გაცვლის სისტემის დანერგვაზე.** მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ეგიდით, ჩატარდა ეროვნული დონის სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საზღვარზე წარმოდგენილმა სახელმწიფო უწყებებმა და ასევე, საჰაერო გადამყვანმა კომპანიებმა. შემოსავლების სამსახურის სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ცვლილებების პროექტის სამუშაო ვერსია.

2016 წლის 28 სექტემბერს ქ. ბრიუსელში, ევროკომისიაში გაიმართა წარმოშობის შეღავათიანი წესების პან-ევრო-ხმელთაშუაზღვის რეგიონული კონვენციის კომიტეტის მორიგი სესია,

რომელზეც კონვენციის წევრმა ქვეყნებმა (48 ქვეყანა) ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება და მიიწვის საქართველო კონვენციაზე მიერთებისათვის. მიმდინარეობს კონვენციასთან მისაერთებლად აუცილებელი პროცედურები.

2016 წლის 14 ნოემბერს საქართველოს მთავრობის N507 დადგენილებით დაინერგა უფლებამოსილი ექსპორტიორის ინსტიტუტი, რის შედეგადაც ამოქმედდა ასოცირების შეთანხმების პირველი ოქმი. შესაბამისი პირობების თანახმად საქართველოს უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუს მინიჭებულ ექსპორტიორ პირებს შეეძლებათ პროდუქციის წარმოშობის დასადასტურებლად, შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული შეღავათიანი წარმოშობის სერტიფიკატის EUR1 ნაცვლად, გამოიყენონ მათ მიერვე შედგენილი წარმოშობის დეკლარაცია.

ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული საბაჟოზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის აღსრულების სფეროში ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნით, შემოსავლების სამსახურში შეიქმნა შიდაუწყებრივი სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც დადგინდა კანონმდებლობებს შორის არსებული განსხვავებები. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა **„ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ“ ქართულ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი.** უახლოეს მომავალში ცვლილებების პროექტის საბოლოო ვერსია გაეგზავნება შესაბამის უწყებებს.

ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, შემუშავებულია საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი **ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელ კანონმდებლობაში.** შესაბამისი კანონპროექტების საბოლოო განხილვების შემდგომ, მოხდება კანონის პროექტების პაკეტის საქართველოს მთავრობის ინიცირების წესის შესაბამისად საქართველოს პარლამენტში წარდგენა.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - ,,საქპატენტის“ მიერ აქტიურად გრძელდება სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება. საქპატენტი აქტიურად ახორციელებს **მოსამართლეებისათვის და ადვოკატებისათვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხზე** ტრენინგების ორგანიზებას.

2016 წლის 27-28 ოქტომბერს საქპატენტისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ორგანიზებით გაიმართა კონეფრენცია „ბრენდინგის სტრატეგიები“, რომლის მიზანი იყო ქართველი მეწარმეები და ფერმერები გაეცნონ გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული პროდუქციის უპირატესობებს როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს ბაზარზე.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 31 მარტის №536 განკარგულებით დამტკიცდა „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევი“.

2016 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მომზადდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის პროექტში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი, რომლის ძირითადი მიზანია, ასოცირების შესახებ შეთანხმების 144-ე მუხლით გათვალისწინებულ საჯარო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების ძირითად სტანდარტებთან მიახლოება. მომზადებული ცვლილებები საქართველოს მთავრობის ინიციატივის წესით გაიგზავნა საქართველოს პარლამენტში, სადაც **ამ ეტაპზე მიმდინარეობს ცვლილებების პროექტის განხილვა.**

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) ერთად მიმდინარეობს **ფოსტის შესახებ კანონის პროექტის მოდიფიკაცია/დახვეწის სამუშაოები.** ასევე, EBRD-ის დახმარებით, გაფორმდა ხელშეკრულება საკონსულტაციო კომპანიასთან. მუშავდება საფოსტო სფეროს პოლიტიკის დოკუმენტი.

შესწავლილი და დამუშავებული იქნა ელექტრონული კომერციის შესახებ ევროკავშირის დირექტივა (2000/31/EC) და ევროპული ქვეყნების საკანონმდებლო ბაზა, რომლებზე დაყრდნობით და USAID-ის „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) პროექტის დახმარებით, მომზადდა **საქართველოს კანონის პროექტი „ელექტრონული კომერციის შესახებ.“** განხორციელდა საჯარო უწყებებიდან მიღებული შენიშვნების დამუშავება და კანონპროექტის დახვეწის სამუშაოები, სექტემბრის თვეში კერძო და საჯარო სექტორთან მოეწყო კანონის პროექტის პრეზენტაცია და დეტალური განხილვა. მომზადდა კანონპროექტის ინგლისური ვერსია და კომენტარებისთვის გადაეგზავნა ევროკომისიის და მსოფლიო ბანკის ექსპერტებს.

მომზადებულია ტყის კოდექსის პროექტის საბოლოო ვერსია. კანონპროექტის საჯარო განხილვების ფარგლებში, გაიმართა 14 შეხვედრა საქართველოს ყველა რეგიონში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა, ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მოსახლეობამ. შემუშავდა ტყის კოდექსის შესაბამისი ტყითსარგებლობის, ტყის მოვლისა და აღდგენის, ტყის აღრიცხვისა და მონიტორინგის შესახებ კანონქვემდებარე აქტების პროექტების სამუშაო ვერსიები.**ასევე შემუშავდა „ტყის მდგრადი მართვის ეროვნული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების“„კონტროლირებადი მერქნული რესურსების რისკის შეფასების სტანდარტისა“ და “სამასალე და საშეშე მერქნული რესურსების, ასევე არამერქნული რესურსების გამოყენების, წარმოებისა და რეალიზაციის ეკონომიკური ანალიზის”** დოკუმენტები. **შემუშავდა სატყეო მონიტორინგის სისტემის სატესტო ვერსია.** გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციასთან (CITES) დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისა და CITES-ის დანართებში შეტანის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელდა შერჩეულ მცენარეთა სახეობების შეფასება

და მომზადდა შეფასების ანგარიში. CITES-ის მხარეთა 17-ე შეხვედრაზე წარედგინა ევროკავშირი-საქართველოს ერთობლივი შეთავაზება კავკასიური ჯიხვის კონვენციის მეორე დანართში შეტანის მიზნით. შეთავაზება მიღებულ იქნა კონსესუსის გზით.

კლიმატის ცვლილების პარიზის შეთანხმების ვალდებულებების შესრულების მიზნით ინიცირებულ იქნა სამოქმედო გეგმის - "კლიმატი 2021-2030" შემუშავება. დაიგეგმა კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებები ენერგეტიკის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ნარჩენების სექტორებისათვის.

დამტკიცდა **გამანაწილებელი ქსელის წესები** ელექტროენერგეტიკულ სექტორში.

ელექტროენერგეტიკის სექტორში მიღებული იქნა ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემა.

დამტკიცდა გაზის კომერციული მომსახურების ხარისხის წესები, რომლის მიზანიც არის ელექტროენერგეტიკულ, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საწარმოს მიერ მომხმარებლისთვის გაწეული მომსახურების კომერციული ხარსიხის გაუმჯობესება. USAID-ის „მმართველობა განვითარებისთვის" (G4G) პროექტის ფარგლებში ჩატარებული ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელის მე-2 სიმულაციის შედეგად, **განხორციელდა სიმულაციის შედეგების ანალიზი, მოხდა გამოწვევების იდენტიფიცირება** საათობრივ და ლიბერალურ ბაზარზე გადასვლის მიზნით.

ნავთობის და გაზის კორპორაციის მიერ, შემუშავდა **ბუნებრივი გაზის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ათწლიანი (2016-2025 წლები) განვითარების გეგმის** საბოლოო დოკუმენტი და მისი განახლებული რედაქცია (2017-2026 წლები).

შეიქმნა ავარიულ სიტუაციებისთვის საგანგებო ზომების შემუშავების მაკოორდინებელი ჯგუფი.

5. ეკონომიკური თანამშრომლობა

2016 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის წლიურმა რეალურმა ზრდამ წინასწარი შეფასებით 2,2% შეადგინა.[2] წინასწარი შეფასებით, 2016 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, **2017 წლის იანვარში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 5.2% შეადგინა.**[3] **2017 წლის იანვარში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა თვესთან შედარებით 2,9% შეადგინა.** წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით სამომხმარებლო ფასების ინდექსი 3,9%-ით გაიზარდა.[4]

წინასწარი მონაცემებით, 2016 წელს, **საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1645 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა** (აქედან, 471 მლნ. აშშ დოლარი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებზე მოდის).[5]

2016 წელს, საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 11966 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 20 %-ით მეტია. აქედან, ექსპორტი შეადგენს 2114 მლნ. აშშ დოლარს (4%-ით ნაკლები), ხოლო იმპორტი 9852 მლნ. აშშ დოლარს (27%-ით მეტი). ამავე პერიოდში, **ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 3601 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 14%-ით მეტია.** აქედან ექსპორტი 571 მლნ. აშშ დოლარი იყო (12%-ით ნაკლები), ხოლო იმპორტი 3030 მლნ. აშშ დოლარი (20%-ით მეტი). **საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ევროკავშირის წევრი ქვეყნების წილმა 30% შეადგინა.** ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 32% (2015 წელს 34%).[6]

2016 წელს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) გლობალური ფორუმის ფარგლებში, გაიმართა საქართველოს ანგარიშის განხილვა. **საქართველომ მიიღო შეფასება მეტწილად შესაბამისი (largely compliant),** რაც ნიშნავს საქართველოში საგადასახადო მიზნებისთვის ინფორმაციის გაცვლის კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან.

2017 წლის იანვრიდან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებების შედეგად გაიზარდა აქციზი თამბაქოს ნაწარმზე.

მოგების გადასახადის რეფორმის ფარგლებში, **2016 წლის 13 მაისს, განხორციელდა ცვლილებები საგადასახადო კოდექსში. საგადასახადო კოდექსში ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. რეფორმას საფუძვლად დაედო მოგების გადასახადით დაბეგვრის ე.წ. „ესტონური მოდელი“,** რომლის შესაბამისად, საწარმოები მოგების გადასახადს იხდიან მხოლოდ მიღებული მოგების განაწილების შემთხვევაში.

---

[2] http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/economic/yovelTviuri%20ekonomikuri%20statistika_dekemberi_2016.pdf
[3] http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/economic/yovelTviuri%20ekonomikuri%20statistika_ianvarri_2017.pdf
[4] http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/price/CPI%20Press%20release%2001.2017_Geo.pdf
[5] http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FDI_2016Q4-2016-GEO-with%20cover.pdf
[6] http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FTrade__12_2016_GEO-with%20cover.pdf

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის №593 დადგენილებით დამტკიცდა შიდა აუდიტის მეთოდოლოგია. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბერის №592 დადგენილებით დამტკიცდა სისტემური აუდიტის სახელმძღვანელო.

2016 წელს განხორციელებული საქმიანობის შედეგად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ჩაატარა 95 აუდიტი, მათ შორის, 47 ფინანსური, 35 შესაბამისობისა და 13 ეფექტიანობის აუდიტი.

2016 წელს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოამზადა პარლამენტისა და მოქალაქეთა ჩართულობის ვებპლატფორმა - **ბიუჯეტის მონიტორი** (www.budgetmonitor.ge), რომელიც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას აძლევს ერთ სივრცეში, მარტივად აღქმადი ფორმით მიიღონ განახლებადი ინფორმაცია საბიუჯეტო პროცესების თაობაზე.

სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა ჩაატარა საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირების პროგრამა, რომელიც წარმატებით გაიარა 81-მა აუდიტორმა.

2016 წლის 28 აპრილს, გამოქვეყნდა **მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საბოლოო შედეგები**. ამასთან, სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა უახლესი ინფორმაცია მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის, დასაქმების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, საარსებო წყაროების, საცხოვრისების და სასოფლო-სამეურნეო აქტიურობის შესახებ.

6. თანამშრომლობის სხვა სფეროები

6.1 ტრანსპორტი

2016 წელს, სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში არსებული საკვალიფიკაციო ცენტრის მიერ **გადამზადდა საერთაშორისო გადამზიდავი კომპანიების 29 მენეჯერი.**

სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ შემუშავდა საქართველოს მთავრობის დადგენილების შემდეგი პროექტები:

- „ტექნიკური რეგლამენტის „გარკვეული კატეგორიის ძრავიან სატრანსპორტო საშუალებებში სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობების მონტაჟისა და გამოყენების შესახებ" დამტკიცების თაობაზე";
- „ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების შესახებ" დამტკიცების თაობაზე";
- „გარკვეული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების გზებზე გამოყენებისათვის ნებადართული მაქსიმალური გაბარიტებისა და ნებადართული მაქსიმალური მასის განსაზღვრის შესახებ" დამტკიცების თაობაზე".

რეგლამენტის ტექსტები განსახილველად დაეგზავნა შესაბამის უწყებებს. მათი შენიშვნების და წინადადებების გათვალისწინებით რედაქტირებული ვარიანტი წარედგენება მთავრობას დასამტკიცებლად.

კომისიის 2006 წლის 11 მაისის № 730/2006 რეგულაციასთან „საჰაერო კლასიფიკაციისა და ფრენის ეშელონ 195-ზე მაღლა ვიზუალური ფრენის წესებით ფრენების შესრულებაზე წვდომის შესახებ" დაახლოების მიზნით, დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 ივნისის №276 დადგენილება "საქართველოს საჰაერო სივრცის სტრუქტურისა და კლასიფიკაციის" დამტკიცების შესახებ. ასევე დამტკიცდა სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №113 „საქართველოს საჰაერო სივრცეში ფრენის წესების" დამტკიცების თაობაზე.

ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტო (EMSA) ახორციელებს ეროვნული ავტომატური საიდენტიფიკაციო სისტემის ქსელის მოწყობას საქართველოსა და უკრაინაში, რაც გახდება საქართველოს ევროკავშირის SafeSeaNet სისტემაზე მიერთების საფუძველი. 2016 წლის მარტში, EMSA-მ დაასრულა სატენდერო პროცესი კვლევის ჩატარებაზე. **აღნიშნული სისტემის დანერგვის მიზნით, ცვლილებები შევიდა საქართველოს საზღვაო კოდექსში, სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულებასა და სააგენტოს საფასურის წესში.** ამასთან, სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 30 მარტის №05 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და ნავსადგურის აკვატორიაში გემების

მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების წესი“.[7] სისტემა ამოქმედდა 2016 წლის მაისში.

ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის თაობაზე 2009 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/16/EC დირექტივის დანეგრვის მიზნით 2016 წლის 7 ნოემბერს გამოქვეყნდა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის №11 ბრძანება „ნავსადგურის წესების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 31 აგვისტოს №019 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

2003 წლის 14 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/25/ EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით, 2016 წლის 12 დეკემბერს, სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ გამოსცა №10/CIRC/FSI ცირკულარი, რომელიც ადგენს სამგზავრო გემების სტაბილურობის სპეციფიკურ მოთხოვნებს საქართველოს დროშით მცურავ გემებზე და იმ გემებზე, რომლებიც შედიან საქართველოს ნავსადგურებში.

6.2 თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში

2016 წლის 14 ოქტომბერს, ქ. სარაევოში „ენერგეტიკული გაერთიანების“ მინისტერიალის ფარგლებში, ხელი მოეწერა ,,ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმს“. შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის დასრულების შემდეგ, საქართველო „ენერგეტიკული გაერთიანების“ ოფიციალური და სრულუფლებიანი წევრი გახდება.

„სამხრეთ კავკასიის გაზსადენის სისტემის“ გაფართოების პროექტის მიზნებისათვის სახელმწიფო და კერძო მიწებზე გაცემულია უფლების დამადასტურებელი საჭირო დოკუმენტაცია.

შემუშავებულია ქვეყნის ენერგო ეფექტურობის პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმის (NEEAP) პროექტი. **„რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტის“** ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით განხორციელდა ქვესადგურების მშენებლობა/რეკონსტრუქციისა და ელექტროგადამცემი ხაზების (ეგხ) მშენებლობა/ რეკონსტრუქციის მიზნით დაგეგმილი სამუშაოების ძირითადი ნაწილი.

6.3 გარემოს დაცვა

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში, მომზადდა **გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ**

[7] **შენიშვნა:** თევზსაჭერ ფლოტთან მიმართებაში გემების ავტომატური საიდენტიფიკაციო სისტემის დანერგვა არ განხორციელებულა.

შეთანხმების განხორციელების საგზაო რუკის შესრულების ერთი წლის ანგარიში. **შემუშავდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ საბოლოო ვერსია, რომელიც მოიწონა მთავრობამ და წარდგენილია საქართველოს პარლამენტში.** შემუშავდა “გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს კანონის” პროექტისა და “გარემოსათვის მიყენებული ზიანის გამოთვლის მეთოდოლოგიის” შესახებ კანონქვემდებარე აქტის პროექტის სამუშაო ვერსიები. ევროკავშირის დაფინანსებით შემუშავდა „გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამის 2017-2021“ (NEAP-3) პროექტი.

გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისა და გარემოსდაცვით ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის მიზნით დაიწყო გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემის შექმნა და გარემოსდაცვითი სწავლების კომპონენტი შეტანილ იქნა სკოლამდელ, სკოლის და უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N160 დადგენილებით დამტკიცდა **ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია (2016-2030) და სამოქმედო გეგმა (2016-2020). ასევე,** საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა **შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:**

- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №143 დადგენილება „ნარჩენების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №144 დადგენილება „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესის და პირობების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილება „სხვადასხვა სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №159 დადგენილება „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“.

შემუშავდა სახიფათო ქიმიური ნივთიერებებით ან ქიმიური ნარევებით გამოწვეული მასშტაბური ავარიების პრევენციის შესახებ კოდექსის სამუშაო ვერსია. ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის გაფართოებისა და ავტომატიზაციის მიზნით, **ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ავტომატური სადგურები ამოქმედდა ქ. ბათუმში (1 სადგური), ქ. ჭიათურასა (1 სადგური) და თბილისში (3 სადგური). საქართველოს 16 ქალაქში ჩატარდა ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვები.**

შემუშავდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტები „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების შესახებ“ და „ზოგიერთი თხევადი საწვავის ხარისხობრივი ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ”. 2016 წლის 24 ივნისს, სამაცივრო და ჰაერის კონდიცირების ტექნიკოსთა სავალდებულო სერტიფიცირების სისტემის

დანერგვის მიზნით ცვლილებები შევიდა **„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“** საქართველოს კანონში.

მომზადდა **ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კანონის პროექტის სამუშაო ვერსია.**

წყლის ინტეგრირებული მართვის სისტემის დანერგვის მიზნით შემუშავდა **წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონის პროექტის საბოლოო ვერსია**. კანონპროექტთან დაკავშირებით ხორციელდება რეგულირების ზემოქმედების შეფასება.

საზღვაო მმართველობის სფეროში ინტეგრირებული პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 იანვრის №27 განკარგულებით შეიქმნა **საზღვაო მმართველობის საკითხთა კოორდინაციის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი**.

2016 წლის 22 აპრილს, საქართველომ ხელი მოაწერა პარიზის შეთანხმებას, რომელიც 2017 წლის 21 თებერვალს დამტკიცებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ. დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავების მიზნით ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობისა და ნარჩენების სექტორებისთვის მომზადებულია საბაზისო სცენარი და დადგენილია კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებები.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N640 დადგენილებით დამტკიცდა **რადიოაქტიური ნარჩენების მართვის 2017-2031 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი განხორციელების 2017-2018 წლის სამოქმედო გეგმა.**

6.4 სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება

გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან თანამშრომლობით **შემუშავდა „სასოფლო განვითარების სტრატეგიის“ პროექტი** და 2016 წლის 30 დეკემბერს აღნიშნული სტრატეგია დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ N631 დადგენილებით.

შემუშავდა **„საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ეროვნული სტრატეგიის“** პროექტი.

შემუშავდა **საკანონმდებლო დაახლოების პროგრამა** სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და ფიტოსანიტარიის სფეროებში. პროგრამის შესაბამისად მიმდინარეობს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

2016 წლის განმავლობაში, ჩატარდა ტრენინგები კერძო სექტორისთვის „ფინანსურ აღრიცხვასა და HACCP და ISO22000:2005 სტანდარტების" დანერგვის საკითხებზე. ასევე, **განხორციელდა სხვადასხვა სახის სახელმწიფო მხარდაჭერის პროექტები, როგორებიც არის: შეღავათიანი აგროკრედიტი, გადამამუშავებელ საწარმოთა თანადაფინანსების პროექტი, დანერგე მომავალი, აგროდაზღვევის პროექტი და სხვა.**

განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროექტები (მცირეგაბარიტიანი აგროტექნიკის გადაცემა, მეფუტკრე კოოპერატივებისთვის თანამედროვე სტანდარტების სკების გადაცემა და სხვ).

6.5 მომხმარებელთა პოლიტიკა

საქართველოს მთავრობის **2016 წლის 30 დეკემბერის №634 დადგენილებით დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი „შეცდომაში შემყვან პროდუქტებთან დაკავშირებით, რომლებიც საფრთხის ქვეშ აყენებს მომხმარებლის ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას“.** ტექნიკური რეგლამენტი ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს მთავრობის **2016 წლის 30 დეკემბერის №635 დადგენილებით დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი - „ბაზარზე ბავშვების მოხმარებისთვის რეზისტენტული სანთებელების დაშვებისა და ახალი სახეობების სანთებელების აკრძალვის შესახებ“** დამტკიცების თაობაზე. ტექნიკური რეგლამენტი ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრიდან.

6.6 დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები

შემუშავდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის საქმიანობის 2016-2017 წლების გეგმა. გეგმის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად განისაზღვრა შრომითი მედიაციის მექანიზმის გაძლიერება და მედიატორთა რეესტრის დამტკიცება. 2016 წლის 11 აპრილს გაიმართა სამმხრივი კომისიის სხდომა.

2016 წლის 18 იანვარს, საქართველოს მთავრობის №19 დადგენილებით **დამტკიცდა „შრომის პირობების ინსპექტირების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამა“**.

2016 წლის 11 თებერვალს, საქართველოს მთავრობის №68 დადგენილებით დამტკიცდა „შრომის ბაზრის ანალიზისა და საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამა“.

2016 წლის 7 მარტს, საქართველოს მთავრობის №112 დადგენილებით **დამტკიცდა „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესი“.**

მომზადდა „სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.

2016 წლის 4 აპრილს, საქართველოს მთავრობის №167 დადგენილებით დამტკიცდა „შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგია და მისი განხორციელების 2016-2018 სამოქმედო გეგმა“.

2016 წლის 2 ივნისს, საქართველოს მთავრობის №238 დადგენილებით დამტკიცდა **„სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“**, რომლის მიზანია შრომის ბაზარზე სამუშაოს მაძიებელთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით დასაქმების ხელშეწყობა.

2016 წლის 8 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო **„სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“** საქართველოს კანონი.

6.7 ჯანმრთელობის დაცვა

დაინერგა დაავადებათა ზედამხედველობის ერთიანი ინტეგრირებული სისტემის ინტერნეტ ვერსია. შედეგად, სისტემით მოსარგებლე ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს მიეცა შესაძლებლობა რეგულარულად აკონტროლოს და მიიღოს ინფორმაცია ქვეყანაში არსებულ ეპიდსიტუაციასთან დაკავშირებით.

2016 წლის 10 ივნისიდან, **დაიწყო C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამის მეორე ეტაპი** და გაუქმდა პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები. **აღნიშნული პროგრამა ავტომატურად გავრცელდა პენიტენციურ სისტემაში მყოფ ბენეფიციარებზე.**

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის №326 დადგენილებით **დამტკიცდა „აივ-შიდსის პრევენციისა და კონტროლის 2016-2018 წლების ეროვნული სტრატეგია“.**

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის №327 დადგენილებით **დამტკიცდა „ტუბერკულოზის კონტროლის 2016-2020 წლების ეროვნული სტრატეგია“.**

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აგვისტოს №1704 განკარგულებით **დამტკიცდა „საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის 2016-2020 წლების ეროვნული სტრატეგია“**

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 იანვარის №2 დადგენილებით **დამტკიცდა საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია.**

6.8 ხალხთა შორის კონტაქტები, განათლება, მეცნიერება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

2016 წლის 29 აპრილს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის **ხელი მოეწერა ჰორიზონტი 2020-ის ასოცირებული წევრობის შესახებ შეთანხმებას.** 2016 წლის 22 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა შეთანხმება „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ევროკავშირის პროგრამაში „ჰორიზონტი 2020 – კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა (2014–2020)“ საქართველოს მონაწილეობის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა იმავე დღეს.

Erasmus+ პროგრამის ფარგლებში, 2016 წელს გამოცხადებული კონკურსების შედეგების მიხედვით, კომპონენტის **„შესაძლებლობების გაძლიერება უმაღლეს განათლებაში“** მიმართულებით, დაფინანსდა 9 პროექტი, რაც წარმოადგენს საუკეთესო მაჩვენებელს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებს შორის. ასევე, **Jean Monnet პროგრამის** მიმართულებით დაფინანსებულია 4 პროექტი. **საერთაშორისო კრედიტ მობილობის** მიმართულებით დაფინანსდა 155 პროექტი. 2015 წლის მონაცემებთან შედარებით (885 სტიპენდია), 2016 წელს მიღებული სტიპენდიების რაოდენობა გაზრდილია 1559-მდე. საქართველოში ერასმუსის პროგრამის ფარგლებში სწავლისა და მუშაობის მსურველთა რაოდენობა 2015 წლის შედეგებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა (2015 - 190 ევროპელი სტუდენტი/პროფესორი, 2016 წელს - 570). ამ მონაცემებით, საქართველო პროგრამის მონაწილე 131 ქვეყანას შორის, პირველ ათეულშია, მერვე ადგილით.

გაიზარდა Erasmus Mundus Joint Master Degree Programmes პროგრამებში ქართველი აპლიკანტების რაოდენობა: 2016 წელს - 237 აპლიკანტი და 15 დაფინანსებული სტიპენდიანტი.

„ჰორიზონტი 2020“-ის მარი სკლოდოვსკა-კიურის აქტივობების ფარგლებში, **„კვლევისა და ინოვაციის მიმართულებით მომუშავე პერსონალის გაცვლის“ მიმართულებით, 2016 წელს გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა ორმა პროექტმა. „ჰორიზონტი 2020“ პროგრამის ფარგლებში ქართული ორგანიზაციების მონაწილეობით დაფინანსებულია 13 პროექტი,** აქედან 10 პროექტში ქართული ორგანიზაციები მონაწილეობენ მესამე ქვეყნის სტატუსით, ხოლო 3 პროექტში საქართველოს მონაწილეებმა დაფინანსება მოიპოვეს ასოცირებული ქვეყნის სტატუსით.

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან თანხვედრაში მოყვანის მიზნით, **მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი. შემუშავებულია ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ინსტრუმენტი.**

ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი პირების სავალდებულო განათლების დაწყებით და საბაზო საფეხურზე ჩართვის, ასევე, სკოლის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი პირების ხელშეწყობისა და ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების სოციალიზაციისა და მათი სკოლებში ინტეგრაციის მიზნით, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებულ 6 დღის ცენტრში **ხორციელდება პროგრამა „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის საქართველოში“.**

ევროკავშირის ინიციატივის **„მეტი მეტისთვის“** ***(more for more)*** **ფარგლებში, პილოტირებულია სამუშაოზე დაფუძნებული პროფესიული სწავლება შერჩეულ სამ სფეროში (მეხილეობა, მეცხოველეობა, მეღვინეობა).**

ევროკავშირის პროგრამის „დასაქმება და პროფესიული განათლება და გადამზადება“ - მხარდაჭერით:

- ❖ მომზადდა არაფორმალური განათლების აღიარების წესის პროექტი და სახელმძღვანელო დოკუმენტი. პილოტირება განხორციელდა სამი შერჩეული პროფესიული პროგრამის მიმართულებით;
- ❖ ამოქმედდა ტექნიკური სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა დეტალური სპეციფიკაციები პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარებისთვის;
- ❖ მიმდინარეობს პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის კონცეფციაში მასწავლებელთა საერთაშორისო მობილობის საკითხების შეტანა. განხორციელდა ე.წ. „საბაზისო კვლევა“ საერთაშორისო მობილობის თვალსაზრისით სასწავლებლებში არსებული მდგომარეობის თაობაზე. შემუშავდა ტრენინგ-მოდული საერთაშორისო მობილობაზე.

2016 წლის 29 აგვისტოს, **ხელი მოეწერა** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, იულიხის კვლევითი ცენტრის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის **ერთობლივ ხელშეკრულებას თსუ-ში პირველი SMART|EDM ლაბორატორიის შექმნისა და 5 წლიანი კვლევითი პროექტის განხორციელების შესახებ.**

დამტკიცდა ახალი, **2017-2023 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა**, რომლის მიხედვით საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების ჯგუფს დაწყებით საფეხურზე დაემატა ახალი საგანი „მე და საზოგადოება“.

2016 წელს, **პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“** კულტურისა და მედიის ქვეპროგრამის ფარგლებში, შვიდმა ქართულმა ორგანიზაციამ მოიპოვა პირველი წარმატება.

2016 წლის 1 ივლისს, საქართველოს მთავრობის №303 დადგენილებით **დამტკიცდა საქართველოს კულტურის განვითარების გრძელვადიანი დოკუმენტი „კულტურის სტრატეგია 2025“**. მიმდინარეობს სამოქმედო გეგმაზე მუშაობა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სსიპებ-თან და უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში შეიქმნება ორი სამოქმედო გეგმა - უწყებათაშორისი სამოქმედო გეგმა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შიდაუწყებრივი სამოქმედო გეგმა.

2016 წელს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო გაწევრიანდა შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებში:

- ❖ ENCATC (ევროპის კავშირი კულტურული მენეჯმენტი და კულტურის პოლიტიკა);
- ❖ Enlarged Partial Agreement on Cultural Routes of the Council of Europe (EPA) - ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების გაფართოებული წილობრივი შეთანხმება;

- International Federation of Arts Councils and Culture Agencies - IFACCA (ხელოვნების საბჭოებისა და კულტურის სააგენტოების საერთაშორისო ფედერაცია)
- EUROPA NOSTRA – (ევროპის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ორგანიზაცია).

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოში დაიწყო ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის „კულტურა და კრეატიულობა“ფარგლებში იუნესკოს „Culture for Development Indicators” (CDIS) კვლევაზე მუშაობა, რომლის მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური და მდგრადი განვითარების საქმეში კულტურის როლის წარმოჩენა.

2016 წლის 29-30 სექტემბერს, ა(ა)იპ „ქრიეთივ ჯორჯიას“, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, თბილისის საკრებულოს, თბილისის მერიის, ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპის კულტურისა და კრეატიულობის პროგრამისა და შემოქმედებითი ევროპის საქართველოს ოფისის ორგანიზებით, თბილისში გაიმართა კონფერენცია სახელწოდებით "თბილისის გარდაქმნა შემოქმედებით ცენტრად".

2016 წლის 8-9 დეკემბერს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ევროკავშირის ეგიდით, **თბილისში გაიმართა ფართომასშტაბიანი ფორუმი "კულტურა და შემოქმედებითობა ინოვაციისა და განვითარებისათვის".**

საქართველოს პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი **„ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერის შესახებ“**.

სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელების მიზნით, სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობით, შემუშავდა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ჩარჩო-დოკუმენტის პროექტი. **დაინერგა ახალგაზრდული პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ელექტრონული სისტემა www.youth.gov.ge,** რომელზეც პერიოდულად ხორციელდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ ინფორმაციის განახლება.

ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი განსახილველად წარედგინა არასამთავრობო სექტორში არსებულ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს. სტრატეგიასთან დაკავშირებული შენიშვნების წარმოდგენის შემდეგ შემუშავდა სამოქმედო გეგმა სამოქალაქო სექტორის აქტიური ჩართულობით.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კოორდინაციით შემუშავებულია საქართველოს ახალი კანონის პროექტი „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“. **შინაარსობრივი და ტექნიკური კუთხით განახლდა კარიერის დაგეგმვის საკონსულტაციო ვებ-სერვისი www.myprofesion.gov.ge.**

შეიქმნა ქართული სპორტის სტატისტიკის ვებგვერდი, რომელიც განთავსდა მისამართზე - www.sportstat.gov.ge.

ევროპის საბჭოს „დოპინგსაწინააღმდეგო კონვენციით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, შემუშავდა **“საქართველოს დოპინგსაწინააღმდეგო სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“**.

6.9 რეგიონული განვითარება

მომზადდა **2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის შესრულების 2015 წლის კონსოლიდირებული წლიური და 2016 წლის 6 თვის ანგარიშები,** რომელიც მოიწონა რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ. ამასთან, დაიწყო რეგიონული განვითარების პროგრამის შესრულების 2016 წლის კონსოლიდირებული ანგარიშის მომზადება.

მომზადდა და განახლდა **საქართველოს რეგიონების განვითარების სტრატეგიების განხორციელების სამოქმედო გეგმები.**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მომზადებული რეგიონული განვითარების სააგენტოს შექმნის შესახებ ტიპობრივი დებულების შესაბამისად, **მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შეიქმნა და ფუნქციონირება დაიწყო მცხეთა-მთიანეთის რეგიონული განვითარების საგენტომ.**

მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი **„რეგიონული პოლიტიკისა და განვითარების დაგეგმვის შესახებ“**, რომელიც განსახილველად წარედგინა საქართველოს მთავრობას.

7. ფინანსური დახმარება, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა და კონტროლი

2016 წლის 15 მარტს, **ხელი მოეწერა 14 მლნ.ევროს საფინანსო შეთანხმებას - „ტექნიკური თანამშრომლობის მექანიზმი“**, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო უწყებების შესაძლებლობების განვითარებას საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელების ფარგლებში.

2016 წლის 26 მაისს, **სოფლის და სოფლის მეურნეობის ევროპის სამეზობლო პროგრამის ფარგლებში, ხელი მოეწერა შეთანხმების მეორე ეტაპს (ENPARD II), რომელიც 50 მილიონ ევროს დაფინანსებას მოიცავს.**

2016 წლის ნოემბერში, **ხელი მოეწერა "საჯარო სამსახურის რეფორმის" (30 მლნ. ევრო) საფინანსო შეთანხმებას.**

მიმდინარეობდა საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების განსაზღვრა ევროკავშირის დახმარების ფარგლებში ფინანსური დარღვევებისა და თაღლითობის პრევენციის სისტემის ჩამოსაყალიბებლად. **გაიმართა სამი საკონსულტაციო შეხვედრა ევროკავშირის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისთან (OLAF) შემდგომი თანამშრომლობის ფორმატის განსაზღვრის მიზნით. განისაზღვრა თანამშრომლობის პრიორიტეტები 2017 წლისთვის.**

8. ინსტიტუციური თანამშრომლობა

8.1 ინსტიტუციური ჩარჩო

2016 წლის 2 დეკემბერს, **ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-3 სხდომა.** სხდომაზე განხილულ იქნა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის აქტუალური საკითხები. სხდომაზე, **ევროპული მხარის მიერ დადებითად შეფასდა საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების პროცესი.**

2016 წლის 16 ივნისს, ქ. ბრიუსელში **გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მეორე სხდომა.** კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები, მათ შორის ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, რეგიონული განვითარება, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, მეცნიერება, განათლება და კულტურა.

2016 წლის 21 აპრილს ქ. ბრიუსელში **გაიმართა საქართველო-ევროკავშირის მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებზე ქვეკომიტეტის სხდომა.**

2016 წელს, **გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის თემატური ჯგუფების სხდომები**:

- 2016 წლის 18 თებერვალს, ქ. ბრიუსელში გაიმართა თემატური ჯგუფის „თანამშრომლობა საინფორმაციო საზოგადოების სფეროში; თანამშრომლობა აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში; თანამშრომლობა კვლევის, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების სფეროში; განათლება, ტრეინინგი და ახალგაზრდობა; კულტურის სფეროში თანამშრომლობა; თანამშრომლობა სპორტისა და ფიზიკური აქტივობის სფეროში“ სხდომა;
- 2016 წლის 18 მარტს, ქ. ბრიუსელში გაიმართა თემატური ჯგუფის „სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება; მეთევზეობა და საზღვაო მმართველობა; რეგიონული განვითარება, თანამშრომლობა საზღვრისპირა და რეგიონულ დონეზე“ სხდომა;
- 2016 წლის 23-24 მაისს, გაიმართა თემატური ჯგუფის „სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკა და სამთო-მოპოვებითი საქმიანობა; ტურიზმი; კორპორაციული სამართალი და კორპორაციული მმართველობა; მომხმარებელთა პოლიტიკა; საგადასახადო პოლიტიკა“ სხდომა;
- 2016 წლის 24 ივლისს, გაიმართა თემატური ჯგუფის „ტრანსპორტის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვის, კლიმატისა და სამოქალაქო დაცვის საკითხებზე“ სხდომა;
- 2016 წლის 15 დეკემბერს, ქ.ბრიუსელში, გაიმართა თემატური ჯგუფის „ეკონომიკური დიალოგი, ფინანსური მომსახურება, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი; თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა და კონტროლი“ სხდომა.

8.2 ევროკავშირის დახმარებების კოორდინაცია

გაიმართა კონსულტაციები ევროკომისიის შესაბამის სამსახურებთან, მთავრობის ადმინისტრაციასთან და დარგობრივ სამინისტროებთან 2017-2020 წლებში ერთიანი ჩარჩო დახმარების პროგრამის ფარგლებში და განისაზღვრა **2017 წლის სამოქმედო გეგმის** თანამშრომლობის პრიორიტეტები.

მიმდინარეობს აქტიური საინფორმაციო ღონისძიებები სახელმწიფო სტრუქტურებისა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით ევროკავშირის დახმარების პროგრამებში მონაწილეობის პროცედურების შესახებ.

8.3 სტრატეგიული კომუნიკაცია

წარმატებით განხორციელდა ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის 2016 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებში გამოიცა სამი საინფორმაციო - ანალიტიკური ჟურნალი ,,საქართველოს ევროპული გზა'', გაიმართა ბათუმის მე-13 საერთაშორისო კონფერენცია - ,,საქართველოს ევროპული გზა'', ჩატარდა ნატოსა და ევროპის კვირეულები. სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მიერ ჩატარდა 500-ზე მეტი შეხვედრა. ასევე, საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, 2016 წლის 7-11 ნოემბერს, გაიმართა საქართველოს საპატრიარქოს დელეგაციის ვიზიტი ბრიუსელში.

8.4 სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა

2016 წელს, **საქართველოს მთავრობასა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, გაიმართა სამი სექტორული შეხვედრა** სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და განათლების საკითხებზე. ასევე, 2016 წლის 22 ნოემბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მონაწილეობით გაიმართა კონფერენცია „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ამოცანები". კონფერენციაზე განიხილეს ზემოაღნიშნულ პლატფორმაში წარმოდგენილი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტები ცალკეული მიმართულებებით ასოცირების შეთანხმების განხორციელების თაობაზე.

აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ ექსპერტთა ჯგუფთან, რომელიც პროექტ „საქართველოს ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის გზით“ ფარგლებში ახორციელებს ცალკეული თემატური მიმართულებებით ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების მონიტორინგს.

2016 წლის ივნისში, ქ. თბილისში, ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული **ევროკავშირი-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის დამფუძნებელი შეხვედრა გაიმართა.**